მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №4
2022 წლის 25 იანვარი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ,დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის შესაბამისად:

1. განისაზღვროს და დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:
   ა) ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - 42%
   ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 30%
   გ) ფრაქცია „მარტვილი-საქართველოსთვის“ - 14%
   დ) ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“ - 11%

2. განისაზღვროს და დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობა:
   ა) მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია - 9;
   ბ) მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია - 9;
   გ) მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია - 10;
   დ) მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისია - 9;
   ე) მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისია -9.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა